სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2019 წლის 29 იანვრის №24/01-01 ბრძანების საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11თებერვლის №16/2019 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) №4

ქ. თბილისი

20მარტი, 2019 წ.

16:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი: 1. პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 2. ასისტენტ-პროფესორი მაია გაიოზიშვილი (კომისიის მდივანი); 3. ასოცირებული პროფესორი ირინა მოდებაძე; 4. ასოცირებული პროფესორი მარიამ გაიდამაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის შედგენა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის ინფორმაცია ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 თებერვლის №16/2019 დადგენილების საფუძველზე შექმნილ კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას. კონკურსანტის შეფასება მოხდა 2 ეტაპად.

საკითხი 1

მორფოლოგიის კათედრის კონკურსანტი ელენე თავდიშვილი

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მოკლედ შეაფასა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის, ელენე თავდიშვილის, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და მისი **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო- მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუქნტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაცია როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში (1), ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (სტატიები) (14); მონაწილეობა აქვს მიღებული საგრანტო პროექტში; ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები როგორც საერთაშორისო (2), ასევე ადგილობრივ (2) სამეცნიერო კონფერენციებზე. კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-1; h-1; g-1. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში წარმოდგენილია ინფორმაცია მისი სამეცნიერო კვლევებისა და პედაგოგიური გამოცდილების, ასევე ვაკანტური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში მისი მომავალი გეგმების შესახებ.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს მონაწილეობა აქვს მიღებული საგრანტო პროექტებში, არის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მეთვალყურე-კოორდინატორი, ფლობს კომპიუტერულ პროგრამებსა და უცხო ენებს, მიღებული აქვს სერთიფიკატები და მადლობის სიგელი.

კომისიის მიერ კონკურსანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი, რის შემდეგაც ის გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი, ელენე თავდიშვილი სამუშაო გამოცდილებით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, ერუდიციით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მომქმედი დებულების თანახმად, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-4, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ელენე თავდიშვილი გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 2.

საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩაატრების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნიევრსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი

კომისიის მდივანი:

ასისტენტ-პროფესორი მაია გაიოზიშვილი

კომისიის წევრები:

ასოცირებული პროფესორი მარიამ გაიდამაშვილი

ასოცირებული პროფესორი ირინა მოდებაძე